ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲔᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠ�გᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

№ 215 (18757) ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 17 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ, 1983 ᲬᲔᲚᲘ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

ᲥᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ, ᲥᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ

ᲓᲦᲔᲡᲐᲮᲐᲜ ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ პოლიტბიუროს მორიგი სხდომაზე განიხილა და მოიწონა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა მადრიდის შეხვედრაზე წარგზავნილი საბჭოთა დელეგაციის მუშაობის შედეგები. როგორც ცნობილია, თათბირის დასკვნითი ეტაპი საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე მიმდინარეობდა. აღინიშნა, რომ ეს შეხვედრა დამთავრდა თვალსაჩინო შედეგებით, რომლებიც დაფიქსირებულია ჰელსინკის საბოლოო აქტის პრინციპებსა და დებულებებზე დაფუძნებულ შეწონასწორებულსა და შინაარსიან შემაჯამებელ დოკუმენტში. ახალი შესაძლებლობანი შეექმნა შეხვედრის მონაწილე სახელმწიფოთა შემდგომ ურთიერთხელსაყრელ თანამშრომლობას ევროპისა და საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისათვის. მადრიდის შეხვედრის დადებით შედეგები საგრძნობი მიღწევაა დიალოგისა და ურთიერთგაგების, მოლაპარაკების მაგიდასთან პრობლემათა მოგვარების გეზის გატარებაში. ეს შედეგები ადასტურებს, რომ დაძაბულობის შენელების პოლიტიკას ცხოველმყოფელი ძალების მტკიცე მარაგი ჰქონია. ისინი მოწმობენ, რომ პოლიტიკის მთელი განსხვავებისა და საერთაშორისო საქმეების ახლანდელი მდგომარეობის მიზეზთა შეფასებანი მთელ უთანხმოებათა მიუხედავად, ევროპასა და მსოფლიოში თანამედროვე ვითარების მთელი დაძაბულობის მიუხედავად სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობის სახელმწიფოებს შეუძლიათ მიაღწიონ ორმხრივ მისაღებ მორიგებებს, რომლებიც ყველა ხალხს მოუტანს სარგებლობას. ასეთი კურსის გატარება მოითხოვს სახელმწიფოთა სუვერენიტეტის პატივისცემის, საშინაო საქმეებში ჩაურევლობის, არსებული საზღვრების ხელშეუხებლობის პრინციპების განუხრელ დაცვას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომამ განიხილა საკითხი იმის თაობაზე, რომ გარანტირებული სასურსათო ფონდის შექმნისა და საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესების მიზნით შემუშავდეს მიწების მელიორაციის გრძელვადიანი პროგრამა. ამასთან აღინიშნა, რომ უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე ჩვენს ქვეყანაში მნიშვნელოვნად გაიზარდა სარწყავი და დაშრობილი მიწების ფართობი, გადიდდა მელიორირებული სავარგულებიდან მიღებული მოწამოიმქმედების პროდუქციის ხვედრითი წილი. ამ სავარგულებზე მოგვაყავს მთელი ბამბა და ბრინჯი, ბოსტნეულის ორი მესამედი, ხილისა და ყურძნის დაახლოებით ნახევარი, უხეში და წვნიანი საკვების მეოთხედი. ამასთანავე, სასურსათო პროგრამის თანამიმდევრული რეალიზაცია მოითხოვს ავიყვანოთ მელიორაცია თვისებრივად ახალ დონეზე, უკეთ გამოვიყენოთ მისი შესაძლებლობანი სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ზრდისა და მწარმოებელ ადგილებში სტაბილურობის ამაღლებისათვის. შეძენილი გამოცდილება, წყალსამეურნეო ორგანიზაციათა შექმნილი საწარმოო ბაზა, მელიორატორთა სტაბილური კოლექტივების არსებობა შესაძლებლობას გვაძლევს დღის წესრიგში დავაყენოთ და გადავწყვეტოთ უფრო რთული, დიდი მასშტაბის ამოცანები. კომპლექსური გრძელვადიანი პროგრამის საფუძველზე ამ დარგის განსავითარებლად. პროგრამის შემუშავებისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა იმ ღონისძიებათა განხორციელებას, რომლებიც უზრუნველყოფს დაშრობილი და სარწყავი სავარგულების მაღალ უკუგებას. ამ მიზნით გაუმჯობესდება მიწების მდგომარეობა, დაიხვეწება წყალსამეურნეო სისტემათა ექსპლოატაცია, ფართოდ დაინერგება რწყვის ეფექტიანი ხერხები, ნათესების რაციონალური სტრუქტურა, მოეწყობა სამუშაოები ბუნების დასაცავად, წყლის რესურსების გადასანაწილებლად სახალხო მეურნეობის ინტერესებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მოიწონა საფრანგეთში ამხანაგ ა. ა. გრომიკოს სამუშაო ვიზიტის შედეგები და აღნიშნა, რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის განვითარებას და ორ ქვეყანას შორის პოლიტიკური დიალოგის განგრძობას. ეს შეესაბამება სსრ კავშირისა და საფრანგეთის ხალხთა ინტერესებს, ევროპისა და მთელი მსოფლიოს უშიშროების ინტერესებს.

პოლიტბიუროს მოისმინა ამხანაგ ა. ა. გრომიკოს ინფორმაცია ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან პ. ვ. ნარასიმჰა რაოსთან მისი მოლაპარაკების შესახებ, აგრეთვე ამხანაგ პ. ნ. დემიჩევის ინფორმაცია კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 35 წლისთავის დღესასწაულში საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის მონაწილეობის შესახებ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომამ განიხილა აგრეთვე საბჭოთა კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ზოგიერთი სხვა საკითხი.

ᲓᲠᲝᲘᲡ ᲒᲐᲣᲡᲬᲠᲔᲡ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲐᲑᲠᲔᲨᲘᲛᲘᲡ საწარმოო გაერთიანების კოლექტივმა კარგა ხანია მოწინავე საწარმოს სახელი მოიპოვა. აქ დამზადებული ნატურალური შიფონი ფართოდ პოპულარულია არა მარტო საბჭოთა კავშირში არამედ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაშიც, მათ შორის გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ჩეხოსლოვაკიაში, ინდოეთში, თურქეთში, იაპონიაში. საწარმოს მშრომელები თავდადებით იბრძვიან სახელმწიფო დავალებათა შესრულებისათვის. განვლილ რვა თვეში გაერთიანების კოლექტივმა გეგმის გადამეტებით 86 ათასი მეტრი ქსოვილი გამოუშვა.

გაერთიანებაში წარმატებით იღვწიან გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის, საიუბილეოდ გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში განსაკუთრებით დაწინაურდნენ საქსოვი საამქროს ის ბრიგადები, რომლებსაც ჯ. გოგიჩაიშვილი, პ. ვაშაკიძე, თ. მელაძე, რ. ტიტიშვილი, ვ. გუგიევი, ა. ქაჯაურიძე ხელმძღვანელობენ; მათ რვა თვეში ათი თვის გეგმა შეასრულეს. ასეთივე შედეგები მოიპოვეს მქსოველებმა ც. კილასონიამ, ნ. ცოკაიშვილმა, ვ. მიხმა, მ. ჩერკასოვამ, ნ. ორბელიძემ, ნ. თედორაძემ, ლ. კრიხელმა, ა. წამალაშვილმა. („კომუნისტის“ კორ).

ᲘᲪᲘᲐᲜ ᲬᲣᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ

„ᲒᲐᲮᲡᲝᲕᲓᲔ, ჩვენი ფაბრიკა წუთში 46 წყვილ წინდას უშვებს!“ — ასეთი წარწერაა ლამაზად გაფორმებულ პლაკატზე, რომელიც ლენინური კომკავშირის სახელობის თელავის წინდებს საქსოვი ფაბრიკის ეზოს შესასვლელშია გაკრული. წამკითხველი ადვილად მიხვდება, რომ აქ ყოველი წუთი ძვირფასია.

სამუშაო დროის ფასი, მომჭირნეობა და ყაირათიანობა ყველგან და ყველფერში დიდი ხანია სისხლხორცეული საქმედ იქცა ფაბრიკის შრომისმოყვარე კოლექტივისათვის (დირექტორი — ფ. ბიწკინაშვილი).

განვლილ 8 თვეში ფაბრიკაში პროდუქციის გამოშვების გეგმა შესრულებულია 110 პროცენტით, 4905 ათასი მანეთის ნაცვლად გამოშვებულია 5296 ათასი მანეთის პროდუქცია. ხოლო გეგმის გადამეტებით რეალიზებულია 240 ათასი მანეთის ნაწარმი.

ფაბრიკის მიერ გამოშვებულ 14 სახეობის პროდუქციიდან ათს საპატიო ხუთკუთხედი ამშვენებს.

საიუბილეო შრომითს ვახტზე გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა საქსოვი საამქრო (უფროსი — ო. ქუჯაიძე).

შრომითს მეტოქეობაში განსაკუთრებით კარგ წარმატებებს მიაღწიეს ქვეოსტატებმა: ი. იმერლიშვილმა, შ. სესლაკაშვილმა, დ. ჯავშანაშვილმა, ვ. ნათალიშვილმა, ვ. რატაიშვილმა, მქსოველებმა: ი. გოგოლაშვილმა, ა. მჭედლიშვილმა, დ. მაისურაძემ, ზ. პოდსეიროვამ, შ. ყარაულაშვილმა, წუნმდებლებმა: ჟ. გოგიჩაძემ, ნ. ჩაფიძემ, მ. ახალბედაშვილმა და სხვებმა, რომელთა საგეგმო დავალებათა შესრულების მაჩვენებელი 150 პროცენტს აღემატება, ბევრი მათგანი კი დიდი ხანია ხუთწლეულის მეოთხე წლის ანგარიშში შრომობს. (ხაკ. კორ.).

ᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲔᲜ ᲐᲡᲝᲠᲢᲘᲛᲔᲜᲢᲡ

ᲐᲑᲐᲨᲐ. (ᲮᲐᲙ. ᲙᲝᲠ.). წარმატებით იღვწიან რაიონის სამრეწველო კომბინატის მშრომელები, რომლებმაც გადაჭარბებით შეასრულეს პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის რვა თვის დავალებანი.

კომბინატში საწარმოო-საფინანსო გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის ბრძოლასთან ერთად სერიოზული ყურადღება ეთმობა პროდუქციის ასორტიმენტის განახლება-გაუმჯობესებას. წლეულს აქ აითვისეს ორი ახალი სახეობის ნაწარმის — ქალისა და ბავშვის რეზინის ჩექმების წარმოება. მომხმარებელი წლიურად 400 ათასი მანეთის ასეთ ჩექმებს მიიღებს. გარდა ამისა, კომბინატში ამოქმედდა 300 ტონა სიმძლავრის საღებავი საამქრო, აგრეთვე საშენი ბლოკების საამქრო, რომელიც ყოველწლიურად 140 ათასი მანეთის პროდუქციას დამზადებს.

გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ რეზინის, სამკერვალო, საბნებისა და ლეიბის დამამზადებელ საამქროთა მშრომელები.

ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲐ ᲘᲑᲠᲫᲕᲘᲡ

ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘ. („კომუნისტის“ ᲮᲐᲙ. ᲙᲝᲠ. Ბ. ᲩᲮᲐᲘᲫᲔ). ლანჩხუთის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადებს შორის დაწინაურდნენ პირველი ბრიგადის მკრეფავები (ხელმძღვანელი ბ. იმედაშვილი). საიუბილეო სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველმა ამ ბრიგადამ მოიპოვა გამარჯვება — წლიური დავალებით გათვალისწინებული 140 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს 150 ტონაზე მეტი ფოთოლი მიჰყიდა. ხედლეულის 75 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

ახლა ბრიგადის მეჩაიეები ვალდებულების გადამეტებით კრეფენ ფოთოლს.

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲑᲘᲣᲠᲝᲨᲘ

ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲔᲑᲘ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲜᲬᲔᲡᲘᲗ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲐᲑᲠᲔᲨᲘᲛᲘᲡ საწარმოო გაერთიანების ეაკარდის ფაბრიკის კოლექტივმა წლის დამდეგიდან გამოუშვა 800 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. ეს სამჯერ მეტია, ვიდრე ვალდებულებებით იყო გათვალისწინებული.

გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრების გაშლით საწარმოში გადიდდა შრომის ნაყოფიერება. ამას ბევრად შეუწყო ხელი ძველი მოწყობილობის თანამედროვე დაზგებით შეცვლამ.

ფაბრიკაში შეიქმნა ბრიგადები, რომლებიც ერთიანი განწესით მუშაობენ. ფრომითს მეტოქეობაში უმაღლეს მაჩვენებლებს აღწევს კოლექტივი, რომელსაც რომან გოგრიჭიანი ხელმძღვანელობს, მქსოველები გრაფიკის გასწრებით მუშაობენ და მაღალხარისხოვან პროდუქციას უშვებენ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: მოწინავე მქსოველები, კომკავშირელები თინა წიკლაური (მარცხნივ) და მაია თურქიაშვილი; საამქრო, სადაც დადგმულია ახალი პნევმატური საქსოვი დაზგები.

Ვ. ᲛᲝᲠᲒᲣᲜᲝᲕᲘᲡ ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲐᲠᲘᲜᲐ

ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲛᲗᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲨᲘ

ᲛᲐᲦᲐᲚᲘ მთის ბოგდანოვკის რაიონის ნინდვრებში დაიწყო მარცვლეულის მოსავლის აღება.

იმისათვის, რომ საუკეთესო აგროვადებში, პირველი ოქტომბრისათვის უდანაკარგოდ დავამთავროთ აღლობა, რაისოფლტექნიკის ბაზაზე შეექმენით ოთხი მექანიზებული კომპლექსი, —უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს საქართველოს კომპარტიის ბოგდანოვკის რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. ჭოჩოიანმა. —ეს კომპლექსები იპატოვოელი მზენელმოესელების მეთოდით მუშაობენ. მათ მოსავალი უნდა აიღონ ექვსი ათას ჰექტარ ფართობზე. სიახლის დანერგვის შედეგად ისინი ყოველდღიურად ქერს იღებენ 300-400 ჰექტარზე. ეს მაჩვენებელი 1,5-ჯერ მეტია შარშანდელზე. დიდ ნალეწს აღწევენ მექანიზატორები ო. ეზეკიანი, მ. ხანგოლიანი და სხვები.

ჩვენი მიზანია ჰექტარზე ავიღოთ სულ ცოტა 38 ცენტნერი მარცვლეული. ეს შესაძლებლობას მოგვცემს უფრო წარმატებით შეავსრულოთ სასურსათო პროგრამის უმნიშვნელოვანესი ამოცანა— სამშობლოს მივცეთ რაც შეიძლება მეტი მარცვლეული.

კიდევ ერთი, არანაკლებ სერიოზული ამოცანა, რომელსაც ამ ეტაპზე ვწყვეტთ, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებაა. აქ ბევრი რამ არის დამოკიდებული მტკიცე საკვებ ბაზაზე. აღლობის პარალელურად რაიონში მიმდინარეობს საკვების დამზადებაც. წელს ვაპირებთ ათასი ტონის გადაჭარბებით შეავსრულოთ უზეში საკვების დამზადების გეგმა. მაგალითად, უკვე მოვიმარაგეთ 16,5 ათასი ტონა თივა, სამი ათასი ტონა ჩალა, დიდძალი სილოსი, ძირხვენები —შარშანდელზე გაცილებით მეტი. ამის შედეგად ჩვენ უკვე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ წლის დამლევამდე საგეგმო დავალებების გადაჭარბებით სახელმწიფოს მივყიდით 5.500 ტონა ხორცს და 22.650 ტონა რძეს. ვაპირებთ გავზარდოთ პირუტყვის სულადობა და ვაშენებთ ახალ ფერმებს.

ᲛᲡᲛᲔᲜᲔᲚᲗᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲜᲐᲙᲐᲓᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელთა კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრში დაიწყო ახალი ნაკადის მსმენელთა სწავლება. ორი თვის მანძილზე ცოდნას გაიღრმავებენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს პასუხისმგებელი მუშაკები, რესპუბლიკის მინისტრების და სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეების მოადგილეები კადრების დარგში, სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა მოადგილეები — საგეგმო კომისიების თავმჯდომარეები, მრეწველობის ხელმძღვანელი მუშაკები, საქალაქო და რაიონული გაზეთების პასუხისმგებელი მდივნები.

გაიმართა მსმენელებთან შეხვედრა, რომელიც გახსნა კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრის ხელმძღვანელმა ს. ქადაგიძემ.

დამსწრეთა წინაშე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ს. ხაბეიშვილი.

შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. სირაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები. (საქინფორმი).

ᲡᲘᲜᲐᲗᲚᲔᲡ ᲒᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲪᲔᲛᲡ

ᲨᲔᲡᲐᲕᲚᲔᲑᲐᲖᲔ შევხვდი ლევან თვალიაშვილს თბილისის „ისნის“ ფეხსაცმლის საწარმოო გაერთიანების მე-6 საამქროში, სადაც პროდუქცია ხელით იკერება.

დახვეწილნაკვთებიანი, ოდნავ თმაშეკერცხლილი ტანმორჩილი კაცი ოთახში შემოვიდა და მორიდებით კედელთან გაჩერდა. „მრავალფეროვანმა“ სპეციალისტმელმა მიმახვედრა, რომ იგი მუშაობს საღებავების, წებოს სუნით დამძიმებულ საამქროში.

სკამი შევთავაზე. საოცრად ბავშვურად დარცხვენილი ჩამოჯდა, მუხლებზე დაიწყო ნაჯაფარი ხელები, მერე თავაზიანი, უშუალო, საინო ღიმილით შემომხედა... უნებურად ფრანგი მწერალი ეკზიუპერი გამახსენდა, მას ეკუთვნის სიტყვები: ნამდვილ ადამიანს მოზრდილობაშიც გადაჰყვება ხოლმე რაღაც ბავშვური.

ჩვენი „საუბარი“ თარჯიმნის მეშვეობით დაიწყო.

ძალზე მარტივი და ტრაგიკული გამოდგა ლევანის ბიოგრაფია. ხუთი წლისა ყოფილა, როდესაც მენინგიტს სამუდამოდ წაურთმევია სმენა-მეტყველება. აბა, ერთი წამით წარმოვიდგინოთ პატარა ლევანის მდგომარეობა, ქვეცნობიერად ვცადოთ, ისე გავლოთ ბავშვობის, ყრმობის, ჭაბუკობის წლები, რომ არ დავიბნეთ, არ აგვერიოს გზა-კვალი და შევძლოთ მოვნახოთ ჩვენი ადგილი, სადაც კაცსაც დაგვიძახებენ და ნამუსის ქუდსაც დაგვახურავენ. სათქმელად ადვილია, შესასრულებლად კი ძნელი. აი, ლევანმა კი შეძლო.. პატიოსანი შრომით, სიბეჯითით, ხელების გარჯილობით და, რაც მთავარია, გულის კარნახით, გული კი ადამიანის ბედის გადაწყვეტის დროს უბადლო მსაჯულია.

კაცი კაცითაო, ჭკვიანური ნათქვამია. კარგი კაცი შეხვედრია ცხოვრების გზაჯვარედინზე მდგარ ჯერ კიდევ ყრმა ლევანს. ეს კაცი თბილისელი მიხეილ გიორგაძე ყოფილა. მას გაუწევია მისთვის მეგზურობა, უსწავლებია ფეხსაცმლის მკერავის პროფესია და არა მარტო ხელობაში გაუწვრთნია თავისი შეგირდი, ზნეობრივი მრწამსიც ჩაუნერგავს მისთვის და დაურიგებია: შრომა გაუწევდნავ ცხენივითაა, დაუყვავებ, მიეფერები, შენი მკლავის ძალას და გულის სითბოს აგრძნობინებს, დაგემორჩილება, ამაგს დაგიფასებს, სამაგიეროს ათმაგად მოგიზღავს, აგამაღლებს, ასპარეზზე გამოგიყვანს, კაცური კაცის ქუდს დაგახურავს, მაგრამ ცუღლუტისა და უქნარას თვალით თუ შეხედავ, გაგწირავს, საქვეყნოდ თავს მოგჭრის, შეგარცხვენსო, — ხოლო მეორედ ასე დაუმოძღვრავს: შრომა წისქვილის ქვასავით ძმიმეა, მაგრამ მისი ნაყოფი ტკბილზე უტკბილესია, იმ ნაყოფს რომ გეძოს გაუსინჯავ, დაღვრილი ოფლის სიმწარეც დაგავიწყდება და სხვის ნაამაგარზე თვალიც არასოდეს არ გაგიქცევიო. ჰოდა, შვილო, კარგად დაიხსომე, შრომა ნამდვილი ადამიანის სანატრელი ტკბილობა, უქნარობასთან წილნაყარი მუქთახორასათვის კი — ჩიხური ანაბანაო.

მადლიერების უუკნობი გრძნობით გაიხსენა ლევანმა თავისი ოსტატი და თვალზე მომდგარი ცრემლი მოიწმინდა. დღეს თვითონ ლევანია ოსტატი და მის ხელში დაფრთიანებული ჭაბუკები ისევე ემადლიერებიან ლევანს, როგორც ლევანი თავის უბადლო ოსტატს.

„სხვა რომ გინათებს სიკეთის გზას, მერე თვითონ შენც უნდა გამოსცადე ამ ნათელს“—ეს კაის უდიდესი ბედნიერება და უმაღლესი სიკეთე, რაც კი შეუძლია ადამიანს, — ასე ესმის ლევანს სიკეთის ფორმულა.

ამბობენ, კაცს თავის თავში საქმე უნდა უყვარდესო. მე შევატყვე, რომ ასე უყვარს ლევანს თავისი ხელობა და უთუოდ ამ სიყვარულმა შეაძლებინა, რომ მის ნახელავს მაღლიც აქვს და ხვავიც, რომ დღიურ ხორმას ორმაგად და მეტადაც ასრულებს და მერე როგორი ხარისხით! ავ თვალს არ ენახვება მისი შეკერილი ფეხსაცმელი.

— ოქროს ხელი აქვს ამ კაცს, მის ნახელავს წუსსა და ხინჯს ვერ მოუნახავთ, სავიტრინო-საგამოფენო ნაწარმიაო, —ჩაერია საუბარში საამქროს უფროსი იუზა თუთაშვილი.

ციფრების ენით თუ ვილაპარაკებთ, მიმდინარე წლის იანვარში გეგმა შესრულებული აქვს 213 პროცენტით, თებერვალში —221 პროცენტით, მარტში —228 პროცენტით, აპრილში — 232, მაისში — 254 პროცენტით; ყოველთვიურად მისი საშუალო ხელფასია 290-300 მანეთი. აღარაფერს ვამბობთ პრემიებზე. გარდა ამისა, პატიოსანი მშრომელი ადამიანის სახელი აქვს მოხვეჭილი როგორც თავის საამქროში; ისე ფაბრიკის მთელ კოლექტივში. კომუნისტური შრომის დამკვრელია, დაჯილდოებულია მედლით, „შრომითი მამაცობისათვის“, „სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის“ სამკერდე ნიშნებით.

თბილი და ტკბილი ოჯახის პატრონია, ჰყავს მეუღლე, ორი ქალიშვილი და ერთი ვაჟი (ისიც მკერავია). შვილები დოოჯახებულნი არიან და პატიოსან ცხოვრებას ეწევიან. შვილიშვილებიც ბევრი ჰყავს.

როგორც ვთქვი, ჩვენს „საუბარს“ თარჯიმანი, გვარად ლარისა სუხარევა უძღვებოდა. ხელების, ტუჩების და თვალების იდუმალი მოძრაობით იგი ისე მოფერებით ელაპარაკებოდა ლევანს, მე ამითაც ვიგრძენი, „ისანში“ მომუშავე 20 ყრუ-მუნჯთა შორის ლევანს ყველაზე ღვაწლმოსილი ოსტატის სახელი აქვს მოხვეჭილი თავისი დაბადების 60 წლის მიჯნაზე.

ჩემს შეკითხვაზე, პენსიაში გასვლას ხომ არ აპირებს-მეთქი, „ჯერ თვალიც მიჭრის და ხელებშიც ძალას ვგრძნობ, ესეც არ იყოს, რას იტყვის ხალხი“, — დამიბრუნა ლარისამ ლევანის პასუხი და ისე გადახედა ოსტატს, თითქოს მის მზერაში მთელი ფაბრიკის კოლექტივის სითბო ამოიკითხებოდა.

რასაც დავწერ ამ კაცის შესახებ, დაე, იმ სტრიქონების სითბოც ლარისას თვალებში ამოკითხულ სითბოს მიემატოს-მეთქი, გავიფიქრე, მაგრამ, როდესაც გამოვცდი ფაბრიკის ტერიტორიას, კინაღამ ხმამაღლა წამომცდა ენის წვერზე უნებურად მომდგარი სიტყვები: მაგ უღვთოდ დასჯილმა თუ იპოვა ადამიანური ცხოვრების გზა, რა ეშმაკი ჩაუსახლდა სულში ზოგიერთ უგვანოსა, და უგვაროს, სმენაც რომ აქვს, მეტყველებაც, ჯანის უნაკლო სიმრთელეც და მაინც მუქთახორობაზე და სხვათა ოფლით მონაგარზე გაურბის თვალი?!

Ა. ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲐᲜᲘ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ: ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲖᲔᲑᲘ

ᲡᲘᲛᲐᲦᲚᲔᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲮᲘᲜᲐ

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ — ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲘᲐ

დროის მოთხოვნა: ინიციატივიანობა, პრინციპულობა, ქმედითობა

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა რესპუბლიკური კრება

ბევრი სიახლეა უკანასკნელ წლებში ჩვენი რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების საქმიანობაში. იცავენ რა საერთო-სახალხო ინტერესებს, ისინი დღეს უფრო აქტიურად უწევენ კოორდინაციასა და კონტროლს თავიანთ ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაობას. მნიშვნელოვანია მათი წვლილი სახელმწიფო, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საკითხთა გადაწყვეტაში, კომპლექსური ეკონომიკური და სოციალური განვითარების უზრუნველყოფაში.

საბჭოები უნარიანად იყენებენ მათთვის მინიჭებულ უფლებამოსილებას და ნიადაგ სრულყოფენ თავიანთი მუშაობის სტილსა და მეთოდებს, ეძებენ მოწინავე გამოცდილების პროპაგანდისა და გავრცელების ახალ ფორმებს, რათა უფრო წარმატებით გადაწყვიტონ ის დიდი და რთული ამოცანები, რომლებსაც პარტია უსახავს დღეს უშუალოდ სახალხო ხელისუფლების ორგანოებს. ერთ-ერთი ასეთი ფორმაა სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა რესპუბლიკური კრება, რომელიც 16-17 სექტემბერს იმართება თბილისში. მისი მონაწილეები იხილავენ სკკპ XXVI ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის მითითებათა შესაბამისად საბჭოების საქმიანობის შემდგომი სრულყოფის ამოცანებს.

16 სექტემბერს დილით კრების მონაწილეები მოვიდნენ საქართველოს დედაქალაქის ცენტრალურ მოედანზე და გვირგვინთან შეამკეს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ვ. ი. ლენინის ძეგლი.

შემდეგ მოეწყო შეხვედრები სამინისტროებსა და უწყებებში, რესპუბლიკური ბანკებისა და ეკონომიკური რეფორმების, რომელთა დროს საქმიანი, საგნობრივი სკკ-ბაასი იყო საბჭოების საქმიანობის აქტუალურ პრობლემებზე, ოპერატიულად გადაწყდა ბევრი საკითხი, რომლებიც სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელობისათვის მათი მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფას უკავშირდება. სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდნენ კრების მონაწილეების მიერ გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებსა და წინადადებებს. მათ მტკიცედ აღუთქვეს, რომ ყველა ამ შენიშვნასა და წინადადებას საგულდაგულოდ გააანალიზებენ, გაითვალისწინებენ მუშაობაში და თითოეული მათგანის მიხედვით განაზორციელებენ შესაბამის ღონისძიებებს.

რესპუბლიკის ცხოვრების ყველა სფეროში ადგილობრივი საბჭოების საქმიანობის გაუმჯობესების კონკრეტული რეკომენდაციების შესაბამუშავებლად შეიქმნა შვიდი თემატური სექცია. ამან შესაძლებელი გახადა კრების მონაწილეთა აზრებისა და სურვილების გათვალისწინებით განესაზღვრათ და დაეკონკრეტებინათ ძირითადი პრობლემები, რომლებიც საგულდაგულო და საფუძვლიან განხილვას მოითხოვს, საშუალება მისცა ყველა მათგანს გამოეთქვა თავისი აზრი ამ პრობლემების თაობაზე, ფართოდ გაეწიარებინათ ერთმანეთისათვის გამოცდილება, ერთად გადაეწყვიტათ საჭირბოროტო საკითხები, დაესახათ ადგილობრივი საბჭოების მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფის მაგისტრალური გზები.

კომპლექსურად გადაავწყვიტოთ საკითხები

• რესპუბლიკის დედაქალაქის საქარხნო რაიონის რვა საწარმოში დაიწყო დიდმნიშვნელოვანი ექსპერიმენტი. ნედლეულისა და სხვა მატერიალური რესურსების ყაირათიანი და მომჭირნე გამოყენებისათვის წახალისების სხვადასხვა ფორმას შორის აქ დანერგილია შემდეგი ფორმაც: შრომის ანაზღაურების დროს მუშებს დაერიცხებათ მათ მიერ დაზოგილი მასალების ღირებულების 50-დან 70 პროცენტამდე.

საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის მონაწილეობით ამგვარი პრაქტიკის დანერგვამ ხელი შეუწყო წარმატების მიღწევას. მაგალითად, გასული წლის მანძილზე აქ თითქმის სამჯერ გადააჭარბეს დიზელის სათბობის დაზოგვის გეგმას, ერთიორად ელექტროენერგიის, 121 პროცენტით — შავი ლითონის ნაგლინისას. ეს შედეგები, უწინარეს ყოვლისა, მიღწეულია მუშაობის ორგანიზაციული ფორმების სრულყოფის მეოხებით. მაგალითად, რაიაღმასკომთან შექმნილია მატერიალური და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ეკონომიის საუწყებათაშორისო კომისია. ამ კომისიის მუშაობა, როგორც რაიონის მთელ ტერიტორიაზე სამეურნეო საქმიანობის კოორდინაციის პროგრამის ნაწილი, სხვადასხვა სფეროს მოიცავს. მაგალითად, ნარჩენების გაცვლის ბაზაზე რაიონის საწარმოები წლის დაძლევამდე დამატებით გამოუშვებენ მილიონი მანეთის ფასთა მოხმარების საქონელს.

რაიონის მასშტაბით სამეურნეო საქმიანობის დაგეგმვისა და მართვისათვის საქარხნო რაიასბჭოს აღმასკომის მუშაობის გამოცდილება განიხილეს სექციაზე, სადაც მსჯელობდნენ სამეურნეო და სოციალურ-კულტურულ მშენებლობაში სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლის ამაღლების საკითხებზე. სექციას ხელმძღვანელობდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე **ზ. ა. ჩხეიძე**, საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი **დ. ნ. დვალიშვილი**, საქართველოს სსრ საწარმოო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ვ. ხ. ადვაძე**.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მუდმივი ზრდუნვის მეოხებით სახალხო დეპუტატთა საბჭოებმა, მათმა აღმასკომებმა, აქტივმა მნიშვნელოვნად გაუმჯობესეს ხელმძღვანელობა სახელმწიფო მართვის, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგისადმი. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, — რომ ყოველგვარი თაოსნობის წარმატება შეგვიძლია წინასწარ განვსაზღვროთ იმის მიხედვით, თუ რამდენად ენერგიულად მოქმედებენ ესა თუ ის საბჭო, მისი ორგანოები, კომისიები, დეპუტატთა ჯგუფები და საგუშაგოები.

მაგალითად, მარნეულის რაიონში საბჭოს თერმომეტრივ მუდმივი კომისიის აქტიური მუშაობის მეოხებით მიაღწიეს კომპლექსურობას სოციალური და ეკონომიკური განვითარების გეგმის განხორციელების დროს. მასში შეწონასწორებულია ღონისძიებანი, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს მთლიანად რაიონის ეკონომიკისათვის და შეესაბამება ცალკეულ მეურნეობათა ინტერესებს. გათვალისწინებულია ადამიანური ეკონომიკისათვის და შეესაბამება ცალკეულ მეურნეობათა ინტერესებს. გათვალისწინებულია ადამიანური და საინფორმაციო ეკონომიკისათვის. ეს ეხება, უწინარეს ყოვლისა, ადამიანებს, ინფორმაციას, ტექნიკურ ინფორმაციას, ინოვაციებს, ინოვაციურ ინფორმაციას, ინოვაციურ ინფორმაციას, ინოვაციურ ინფორმაციას

უკანასკნელი
ფაქტები
მოვლენები
საკლესიო
იუწყება

საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტისაგან

ცხადდება რესპუბლიკაში კონკურსი 1988-1984 წლებში სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის დარგის საუკეთესო ნამუშევრებისათვის, რათა შემუშავდეს და დაინერგოს:

მრეწველობაში

— მცირე სიმძლავრის (მცირე სიდიდის) დიზელის ძრავები;
— მრეწველობაში მეორეული ნედლეულის გადამუშავების ტექნოლოგია;
— ახალ სახეობათა ბგერასაიზოლაციო და თბოსაიზოლაციო საშენი მასალები;
— ხალასი და ზეხალასი ქიმიური ელემენტების მიღების ახალი ტექნოლოგიური პროცესები;
— დაბალსორტული მადნის კონცენტრატების გამოყენებით მანგანუმის მადნების ქიმიური და ელექტროქიმიური გადამუშავების ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფა;
— წიაღისეულის მოპოვების გადახსნილი ქანების მინერალურ ნედლეულად გამოყენების ტექნოლოგიები;
— საწარმოო-ნახმარი წყლების გაწმენდის ეფექტიანი ხერხები;
— ახალი ტიპის ანტიკოროზიული მასტიკები და საფარები, აგრეთვე მათი წასმის ხერხები;
— მანგანუმის მადნის მექანიზებული ამოღების ტექნოლოგიურ სისტემათა სამრეწველო ათვისება;
— არამადნეული ნედლეულის გადამუშავების ახალი პროგრესული ტექნოლოგიური სქემები;
— მიწისქვეშა საცირკულაციო სისტემები საქართველოს თერმული წყლების საექსპლოატაციო ბუდობებში.

სოფლის მეურნეობასა და კავშირგაბმულობაში

— სეტყვითა და ყინვით დაზიანებული ვენახების აღდგენის დაჩქარებული მეთოდი;
— ვაზის ნერგების გამოყვანის სრულყოფილი ტექნოლოგია;
— ზრდის ახალი სტიმულატორები, რომლებიც ხელს უწყობენ სოფლის მეურნეობის კულტურების მოსავლიანობის ზრდას და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას;
— კაკლის ნერგების გამოყვანის დაჩქარებული მეთოდი;
— მოკლე სავეგეტაციო პერიოდის მქონე პარკი ლობიოს გამოყვანა;
— ბრუცელოზასაწინააღმდეგო და ტუბერკულოზსაწინააღმდეგო გამაჯანსაღებელი ღონისძიებანი;
— მცირე მექანიზაციის საშუალებანი სასათბურო მეურნეობისათვის;
— საკვებწარმოების ინტენსიფიკაცია ბუნებრივ საკვებ სავარგულებში და მინდვრის საკვებწარმოების პირობებში;
— ბიცობი მიწების მელიორაციის ინტენსიური ტექნოლოგია;
— სოფლის მეურნეობისა და საკვების მრეწველობის ნარჩენებისაგან საკვები ცილების წარმოების ტექნოლოგია;
— ქართული ჩაის ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა კომპლექსი;
— სამარკო და შამპანური ღვინოების სტაბილიზაციის მეთოდები;
— მაღალხარისხოვანი ხილეული და ყურძნის წვენების წარმოების ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფა;
5. საპროექტო მასალები, რომელთა საფუძველზეც განხორციელდა დანერგვა.
6. ავტორის ან თანაავტორების სახელი, მამის სახელი, გვარი, დაბადების წელი, სამუშაო ადგილი, წინადადება კოლექტიური ნამუშევრის ყოველი თანაავტორის შემოქმედებითი მონაწილეობის ცნობითურთ, რომელსაც ხელს აწერს ნამუშევრის ყველა მონაწილე და დაამოწმებს საწარმოს ან მეურნეობის დირექცია (ან გამგეობა), უწყება ან სამინისტრო დაქვემდებარების მიხედვით.
7. საკონკურსო მასალები იგზავნება ორ ცალად შემდეგი მისამართით: ქ. თბილისი, 380018, მთავრობის სახლი, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი, რესპუბლიკური კონკურსების მომწყობი საორგანიზაციო კომიტეტი: ტელეფონი: 99-55-34.

საკონკურსო მასალების წარმოდგენის ვადაა 1984 წლის 15 ნოემბრამდე. (საქინფორმი).

შეგრ სწრაფი ტემპით ემუშაკეთ, მრეწველობის მუშაკებო!

რესპუბლიკის მრეწველობის მიერ 1988 წლის იანვარ-აგვისტოს ძირითადი მაჩვენებლების მიღწევის გეგმის შესრულების შესახებ

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

	პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შესრულება პროცენტი	სასაქონლო პროდუქციის გეგმის შესრულების პროცენტი	1988 წლის იანვარ-აგვისტო პროცენტობით 1982 წლის იანვარ-აგვისტოს თან შედარებით			
			წარმოების მოცულობის მიხედვით	შრომის ნაყოფიერების მიხედვით	პროდუქციის საერთო მოცულობაში ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის წილი	პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შესრულება მიწოდების გალდებულებათა გათვალისწინებით
სულ რესპუბლიკაში	101,9	102,4	105,5	104,3	14,8	96,7
აფხაზეთის ასსრ	103,3	103,4	104,5	103,7	4,3	98,6
აჭარის ასსრ	101,4	102,5	105,4	104,7	25,4	94,5
სამხრეთ ოსეთის ა. ო.	102,0	106,0	114,3	109,6	17,4	96,6
ქალაქები:						
თბილისი	101,7	102,1	108,6	107,4	16,7	98,1
ქუთაისი	102,6	102,1	103,2	102,9	34,7	96,2
ფოთი	111,0	115,7	112,0	111,0	9,6	99,1
ბათუმი	101,9	103,6	103,7	101,6	43,0	98,5
რუსთავი	97,3	97,3	107,1	105,9	21,9	91,4
გორი	100,8	101,9	105,1	105,2	24,6	96,0
ტყიბული	100,0	103,5	101,0	102,2	6,4	96,7
ზუგდიდი	103,0	105,3	104,9	103,5	7,0	99,1
წყალტუბო	104,7	102,5	119,9	113,4	8,1	98,4
მარნეული	100,0	102,0	105,0	100,9	6,8	97,9
რაიონები:						
აბაშის	104,7	104,1	107,2	103,1	0,3	97,4
ადიგენის	102,3	105,0	144,8	125,5	—	—
ამბროლაურის	101,8	100,8	93,9	98,0	2,2	100,0
ასპინძის	101,5	121,7	116,3	130,8	—	—
ახალქალაქის	106,0	103,8	107,9	106,8	13,2	83,6
ახალციხის	103,2	103,4	110,2	111,6	—	93,9
ახმეტის	105,8	105,8	70,0	61,0	5,1	78,2
ბოგდანოვკის	109,9	104,3	111,3	101,9	0,7	101,2
ბოლნისის	102,9	104,4	97,2	99,0	2,8	96,9
ბორჯომის	95,5	99,9	105,3	102,1	7,4	82,4
ვანის	123,4	105,8	87,9	87,5	—	106,9
გარდაბნის	96,1	102,0	107,8	108,1	0,4	90,3
გეგეჭკორის	104,5	106,1	115,2	107,7	0,2	96,2
გორის	103,5	104,8	101,0	100,4	1,2	101,0
გურჯაანის	104,6	102,2	77,8	76,9	0,2	99,0
დმანისის	98,4	104,1	166,3	130,0	—	100,0
დუშეთის	115,5	114,8	86,2	86,2	18,6	85,0
ზესტაფონის	103,6	102,2	94,4	93,6	34,5	99,1
ზუგდიდის	101,0	101,3	145,1	127,9	—	100,0
ყაზბეგის	97,2	116,5	120,5	107,6	13,6	97,1
ქარელის	102,5	105,5	109,0	108,7	0,04	68,2
კასპის	100,8	101,9	103,2	106,3	21,3	96,3
ყვარლის	103,7	100,5	68,3	99,0	—	98,8
ლაგოდეხის	104,2	104,1	101,6	95,1	0,4	99,7
ლანჩხუთის	102,7	103,0	103,3	101,8	0,5	99,8
ლენტეხის	91,0	99,8	99,6	99,0	8,9	100,0
მარნეულის	107,2	105,9	93,5	80,9	2,4	98,3
მახარაძის	102,3	102,4	107,2	104,5	2,3	88,6
მაიაკოვსკის	107,6	104,6	103,3	105,7	3,8	99,5
მესტიის	100,8	103,6	132,6	132,0	6,8	—
მცხეთის	102,3	103,1	91,0	90,5	6,9	89,2
ონის	96,9	100,0	91,4	96,0	38,0	100,0
ორჯონიკიძის	99,0	104,5	78,5	83,4	13,1	76,0
საგარეჯოს	102,4	102,6	118,1	115,8	1,5	88,6
სამტრედიის	102,7	103,8	105,2	105,5	6,5	76,6
საჩხერის	99,1	103,5	129,6	136,4	0,3	91,1
სიღნაღის	106,5	101,7	104,2	94,9	10,1	98,3
თელავის	105,1	102,5	89,0	87,1	5,8	99,7
თერჯოლის	103,5	104,0	90,0	89,1	2,2	97,6
თეთრი წყაროს	108,3	109,9	106,4	98,8	2,5	90,4
თიანეთის	103,0	103,7	230,0	142,1	—	100,0
ხაშურის	102,2	101,9	102,4	103,7	23,4	91,8
ხობის	103,6	103,8	108,5	98,7	—	100,0
ცაგერის	106,0	109,1	149,7	146,0	—	106,4
წალენჯიხის	104,8	102,9	105,4	106,6	0,3	101,0
წალკის	106,0	104,4	68,1	64,4	—	66,2
წითელწყაროს	109,0	105,3	90,5	71,0	—	95,6
წულუკიძის	103,2	102,1	111,8	111,2	0,5	100,7
ცხაკაიას	99,9	100,8	96,6	91,6	0,7	73,0
ჩოხატაურის	105,1	104,1	95,3	93,3	0,3	100,4
ჩხოროწყუს	101,7	105,3	128,8	119,7	—	95,8

როგორც ცხრილიდან ჩანს, სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციის იანვარ-აგვისტოს გეგმები შეასრულა რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების დიდმა უმრავლესობამ, ქალაქების რუსთავის, ბორჯომის, გარდაბნის, დმანისის, უაზბეგის, ლენტეხის, ონის, ორჯონიკიძის, საჩხერის, ცხაკაიას რაიონების გარდა.

სასაქონლო პროდუქციის წარმოების გეგმის შესრულებას თავი გაართვეს აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურმა ოლქმა, რესპუბლიკის ქალაქებმა და რაიონებმა, ქალაქ რუსთავის, ბორჯომის, ლენტეხის რაიონების გარდა.

გასული წლის იანვარ-აგვისტოსთან შედარებით წარმოების მოცულობა შეამცირეს ამბროლაურის, ახმეტის, ბოლნისის, ვანის, გურჯაანის, დუშეთის, ზესტაფონის, ყვარლის, ლენტეხის, მარნეულის, მცხეთის, ონის, ორჯონიკიძის, თელავის, თერჯოლის, წალკის, წითელწყაროს, ცხაკაიას, ჩოხატაურის რაიონების საწარმოებმა.

შრომის ნაყოფიერების ზრდაში ჩამორჩნენ ამბროლაურის, ახმეტის, ბოლნისის, ვანის, გურჯაანის, დუშეთის, ზესტაფონის, ყვარლის, ლაგოდეხის, ლენტეხის, მარნეულის, მცხეთის, ონის, ორჯონიკიძის, სიღნაღის, თელავის, თერჯოლის, თეთრი წყაროს, ხობის, წალკის, წითელწყაროს, ცხაკაიას, ჩოხატაურის რაიონები.

ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ვანის, დმანისის, ზუგდიდის, ყვარლის, თიანეთის, ხობის, ცაგერის, წალკის, წითელწყაროს, ჩხოროწყუს რაიონები საერთოდ არ აწარმოებენ ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციას.

რესპუბლიკის საშუალო დონესთან შედარებით მნიშვნელოვნად დაბალია პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შესრულების დონე მიწოდების ვალდებულებათა გათვალისწინებით ახალქალაქის, ახმეტის, დუშეთის, ქარელის, მახარაძის, მცხეთის, ორჯონიკიძის, საგარეჯოს, სამტრედიის, წალკის, ცხაკაიას რაიონების, ქალაქ რუსთავის საწარმოებში. (საქინფორმი).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრემიების მოსაპოვებლად

უველაზე თვალსაჩინო პროექტებისა და ამ პროექტებით მშენებლობისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრემიების კომისია იღებს მასალებს 1984 წლის პრემიების მოსაპოვებლად. მასალები მიიღება 1984 წლის 1 იანვრამდე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრემიების მოსაპოვებლად შეიძლება წამოაყენონ მუშაკთა კოლექტივები — შემდეგი ნამუშევრების უშუალო მონაწილენი.

საწარმოების (საწარმოთა ჯგუფების), შენობებისა და ნაგებობების ყველაზე თვალსაჩინო პროექტები და ამ პროექტებით მშენებლობა და ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების დაგეგმარების, განაშენიანების პროექტები;

მშენებლობის, არქიტექტურის, საშენ მასალების, სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის დარგში სამეცნიერო პრობლემების დამუშავება და მეცნიერებისა და ტექნიკის თვალსაჩინო მიღწევების დანერგვა.

აღნიშნული ნამუშევრები, რომლებმაც ფართო საზოგადოებრივი აღიარება მოიპოვა, უნდა შეესაბამებოდეს თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს, უზრუნველყოფდეს შრომისა და წარმოების მაღალეფექტიან ორგანიზაციას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარებას, ნედლეული და სამბობ-ენერგეტიკული რესურსების დაზოგვასა და რაციონალურ გამოყენებას, მასალატევადობისა და ღირებულების შემცირებას, ხარისხისა და შრომის ნაყოფიერების ამაღლებას, ორგანიზაციის, ტექნოლოგიისა და მართვის სრულყოფას მშენებლობაში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრემიების მოსაპოვებლად ნამუშევართა წარმოდგენა ლენინური და სახელმწიფო პრემიების მოსაპოვებლად მათს წარდგენასთან ერთად არ დაიშვება.

იმ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია კოლექტივების დასახელებასა და მასალების მომზადებასთან, უნდა მიმართოთ სსრ კავშირის სახმშენის თვალსაჩინო პროექტებისა და მშენებლობისათვის პრემიების განყოფილებას მისამართით:

103824, მოსკოვი, პუშკინის ქ., 26
ტელეფონები — ცნობებისათვის: 292-62-49, 292-61-10

ინთეგა თეატრების რამპები

გვპირდება მარჯანიშვილის თეატრი

გაჩნდა თეატრალური სეზონის პირველი მაცნეები —აფიშები, ანონსები. დღეს, 17 სექტემბერს, სპექტაკლ „ოტელოთი“ იწყებს ახალ სეზონს თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური თეატრი.

როგორი იქნება მარჯანიშვილის თეატრის ახალი სეზონი და რას გვპირდება იგი? საქინფორმის კორესპონდენტის ამ კითხვას პასუხი გასცა თეატრის მთავარმა რეჟისორმა თ. ჩხეიძემ.

— ახლა თეატრში მიმდინარეობს რეპეტიციები სპექტაკლისა „ჩვენი დროის გმირი“, რომელიც იდგმება მ. ი. ლერმონტოვის ცნობილი რომანის მიხედვით. ერთ-ერთი მთავარი ამოცანა, რომელსაც ჩვენ ვისახავთ, ის გახლავთ, რომ ვაჩვენოთ ლერმონტოვის გმირების სულიერი სამყარო, მათი ზნეობრივი კატეგორიები და პრობლემები. სცენური განსახიერებისას ლერმონტოვის პროზის ბუნება უაღრესად დიდ სიზუსტეს, თანაც პერსონაჟებთან მსახიობების ასაკობრივ შესაბამისობას მოითხოვს. როგორც ცნობილია, „ჩვენი დროის გმირის“ მთავარი მოქმედი პირნი ახალგაზრდები არიან და მსახიობებიც ახალგაზრდები უნდა იყვნენ. თავადის ასულ მერის ასახიერებს მსახიობი მარინე ჯანაშია, პეჩორინს —რევაზ ჩხიკვიშვილი, სპექტაკლში სიუჟეტურად გაერთიანებულია ორი ნოველა — „თავადის ასული მერი“ და „ფატალისტი“. თავის ახალ ნამუშევარს, რომელსაც მე ვდგამ, შემოქმედებითი კოლექტივი გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს უძღვნის.

უახლოეს ხანში გაიმართება კიდევ ერთი პრემიერა —რეჟისორი გ. თოდაძე დგამს სპექტაკლს „მარადისობის კანონს“ ნ. დუმბაძის რომანის მიხედვით.

თეატრი კლასიკისადმი თავის ერთგულებას დაადასტურებს ახალი დადგმებით შექსპირის, კარლო გოცის, ფრანგი დრამატურგის ჟამიაკის ნაწარმოებების მიხედვით. დადგმება მიხელ ჯავახიშვილის ერთ-ერთი ნაწარმოები.

და, რა თქმა უნდა, ჩვენი მთავარი საზრუნავია თანამედროვე რეპერტუარი, პიესები, რომლებშიც გენერალური ხაზად გამოიკვეთება სიცოცხლის დამამკვიდრებელი პოზიციებიდან მორალურ-ეთიკური პრობლემების გადაჭრა. ვფიქრობ, ასეთი იქნება ო. იოსელიანის პიესა „ადამიანი ერთხელ იბადება“. ახლო მომავალში სწორედ მას მიმართავს ჩვენი დასი. გეგმებში გვაქვს სპექტაკლების დადგმა მ. ბარათაშვილის, ო. მამფორიას, ლ. თაბუკაშვილის, ი. ვაკელის პიესების მიხედვით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ჯილდოები

ეროვნული დღესასწაული

მექსიკელმა ხალხმა აღნიშნა თავისი ეროვნული დღესასწაული — დამოუკიდებლობის დღე. 173 წლის წინათ ქვეყანაში დაიწყო სახალხო აჯანყება, რამაც დასაბამი მისცა ესპანელ კოლონიზატორთა წინააღმდეგ მექსიკელების ბრძოლას, რომელიც 1821 წელს ამით დამთავრდა, რომ მექსიკამ დამოუკიდებლობა მოიპოვა.

ამჟამად მექსიკა, როგორც ლათინური ამერიკის ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფო მტკიცედ და თანამიმდევრულად ახორციელებს ეროვნული დამოუკიდებლობისა და სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვის პოლიტიკას. შეერთებულ შტატებთან ურთიერთობაში მექსიკა იღვწის მისი თანასწორუფლებიანი ხასიათისათვის, იმისათვის, რომ ჩრდილოელი მეზობელი სრულ პატივს სცემდეს მის პოლიტიკურ და ეკონომიკურ დამოუკიდებლობას, ეროვნულ ინტერესებს.

მექსიკის ხელმძღვანელები გადაჭრით მბობენ ამერიკის ადმინისტრაციის ინტერვენციონისტულ პოლიტიკას.

მინისტრის განცხადება

ანკარა. „თურქეთი არ აპირებს რაიმე თუნდაც სიმბოლური აქციები განხორციელებას საბჭოთა კავშირის მიმართ სამხრეთ კორეის თვითმფრინავის ინციდენტთან დაკავშირებით“, განაცხადა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ი. თურქმენმა.

მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ თურქეთი არ შეუერთდება ზოგიერთი ქვეყნის სანქციებს „აეროფლოტის“ მიმართ, ვინაიდან მას აქვს მთელი რიგი შეთანხმებანი სსრ კავშირთან და თურქეთი თავის ვალდებულებებს შეასრულებს.

16 სექტემბერი

უკანასკნელი ფაქტები

კოლონიური ზარბაზნების პოლიტიკა

აძლიერებენ ჩადის საშინაო საქმეებში ჩარევას

ნიუ-იორკი. **ვაშინგტონი აძლიერებს ჩადის საშინაო საქმეებში ჩარევას, აშკარად უბიძგებს ნჯამენის პროდასავლელ მმართველებს ძმათამკვლელი ომის განგრძობისაკენ.** ამერიკის შეერთებულმა შტატებმა აღუთქვა ჰაბრეს, რომ ამერიკის სამხედრო დახმარება მისი რეჟიმისადმი უახლოეს ხანში გაიზრდება. მისი მოცულობა, იუწყება ასოშიეიტედ პრესის სააგენტო, არ შემოიფარგლება იმ 25 მილიონი დოლარით, რომლებიც პრეზიდენტმა რეიგანმა გამოუყო საგანგებო ფონდიდან.

ტრიპოლი. **ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საფრანგეთს აკისრიათ მთელი პასუხისმგებლობა ჩადში ვითარების გამწვავებისათვის, ნთქვამია ლიბიის რევოლუციის ლიდერის მ. კადაფის დეპეშაში, რომელიც მან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს გაუგზავნა.**

ჩადში და მის გარშემო შექმნილი აფეთქებასაშიში ვითარება, აღნიშნულია დოკუმენტში, ემუქრება საყოველთაო მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების ინტერესებს. იყენებს რა თავის ჯარებს სუვერენული სახელმწიფოს საქმეებში პირდაპირი ჩარევისათვის, იმპერიალიზმმა წამოიწყო ფართო შეტევა რეგიონის პროგრესული ძალების პოზიციების წინააღმდეგ. ლიბიის რევოლუციის ლიდერმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას მოუწოდა განახორციელოს სსსრ-საფო ღონისძიებანი ჩადში ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის აგრესიის შეწყვეტისათვის.

ანტანანარივუ. **ჩადში იმპერიალისტური ინტერვენცია ეს არის კოლონიური „ზარბაზნების პოლიტიკისაკენ“ დაბრუნება, განაცხადა მადაგასკარის მშრომელთა პროფკავშირების ფედერაციის გენერალურმა მდივანმა რაზაკანაივუმ;** ჩადში საფრანგეთის ჯარებისა და ამერიკის საბრძოლო ტექნიკის გაგზავნა, თქვა მან, აღრმავებს და აპიანურებს ჩადის კონფლიქტს.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთისათვის, აღნიშნა მადაგასკარის უდიდესი პროფკავშირული გაერთიანების ხელმძღვანელმა, ჩადი სუვერენული სახელმწიფო კი არა, მხოლოდ სტრატეგიული რაიონია აფრიკის კონტინენტის ცენტრალურ ნაწილში. ვაშინგტონი და პარიზი აპირებენ მის ტერიტორიაზე შექმნან სამხედრო ბაზები, რომლებიც განუწყვეტლივ დაემუქრება ლიბიისა და რეგიონის სხვა პროგრესული ქვეყნების უშიშროებას. ქვეყანაში მდგომარეობის მოწესრიგება, შესაძლებელია მხოლოდ ნამდვილი ეროვნული შერიგების საფუძველზე რაიმე ნეოკოლონიალისტური ჩარევის გარეშე.

საფრანგეთი **განაგრძობს ჩადში თავისი ჯარების დამრტყმელი ძალის ზრდას, იუწყება ფრანს პრესის სააგენტო.**

ნჯამენაში ჩავიდა კიდევ 15 ვერტმფრენავი „გაზელი“, რომლებიც ტანკების წინააღმდეგ სახრძოლველად არის გათვალისწინებული. ისინი ჩადის დედაქალაქში გადაიყვანეს მეზობელი ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკიდან. ამ ნაბიჯს რომ განმარტავდა, საფრანგეთის სამხედრო წარმომადგენელმა ნჯამენაში განაცხადა, „მზად უნდა ვიყოთ ყოველგვარი შემთხვევითობისათვის.

სურათზე: საფრანგეთის „გაზელის“ ტიპის ვერტმფრენავები ნჯამენის აეროპორტში.

აპ-საკლესი ფოტო.

ფოტოფაქტი

● ეთიოპია

ვიზიტი დამთავრდა

ადის-აბება. დამთავრდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის შ. რ. რაშიდოვის მეთაურობით წარმოებული სკკპ დელეგაციის ვიზიტი სოციალისტურ ეთიოპიაში. დელეგაცია მონაწილეობდა კონტინენტზე ვ. ი. ლენინის პირველი ძეგლის გახსნის ცერემონიასა და ეთიოპიის რევოლუციის მეცხრე წლისთავთან დაკავშირებულ ზეიმში.

აეროდრომზე დელეგაცია გამოიცალეს დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოს მუდმივი კომიტეტის წევრმა, ეთიოპიის მშრომელთა პარტიის ორგანიზაციის კომისიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა ვობიშეტ დესიემ, სხვა ოფიციალურმა პირებმა.

● მექსიკა

ეროვნული დღესასწაული

მექსიკა. 16 სექტემბერს მექსიკელმა ხალხმა აღნიშნა თავისი ეროვნული დღესასწაული — დამოუკიდებლობის დღე. 173 წლის წინათ ქვეყანაში დაიწყო სახალხო აჯანყება, რამაც დასაბამი მისცა ესპანელ კოლონიზატორთა წინააღმდეგ მექსიკელების ბრძოლას, რომელიც 1821 წელს ამით დამთავრდა, რომ მექსიკამ დამოუკიდებლობა მოიპოვა.

ამჟამად მექსიკა, როგორც ლათინური ამერიკის ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფო მტკიცედ და თანამიმდევრულად ახორციელებს ეროვნული დამოუკიდებლობისა და სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვის პოლიტიკას. შეერთებულ შტატებთან ურთიერთობაში მექსიკა იღვწის მისი თანასწორუფლებიანი ხასიათისათვის, იმისათვის, რომ ჩრდილოელი მეზობელი სრულ პატივს სცემდეს მის პოლიტიკურ და ეკონომიკურ დამოუკიდებლობას, ეროვნულ ინტერესებს.

მექსიკის ხელმძღვანელები გადაჭრით მბობენ ამერიკის ადმინისტრაციის ინტერვენციონისტულ პოლიტიკას.

მინისტრის განცხადება

ანკარა. „თურქეთი არ აპირებს რაიმე თუნდაც სიმბოლური აქციების განხორციელებას საბჭოთა კავშირის მიმართ სამხრეთ კორეის თვითმფრინავის ინციდენტთან დაკავშირებით“, განაცხადა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ი. თურქმენმა.

მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ თურქეთი არ შეუერთდება ზოგიერთი ქვეყნის სანქციებს „აეროფლოტის“ მიმართ, ვინაიდან მას აქვს მთელი რიგი შეთანხმებანი სსრ კავშირთან და თურქეთი თავის ვალდებულებებს შეასრულებს.

საერთაშორისო კომენტარი

რა იმალება „სანქციების“ მიღმა

ვაშინგტონი, რომელიც პრეზიდენტ რეიგანის აქტიური მონაწილეობით აჩაღებს ისტერიულ ანტიბაბეჭოურ აურზაურს, ცდილობს ამ ისტერიის წყალობით, ერთი მხრივ, ჩამოაშოროს საზოგადოებრივობის ყურადღება შორეულ აღმოსავლეთში თავის ჩაშლილ პროვოკაციას. მეორე მხრივ, იგი ისწრაფვის ამ აურ-ზაურით დაარღვიოს ნორმალური კონტაქტები აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. თანაც, არა მარტო საბჭოთა კავშირის საზიანოდ, არამედ საკუთარი პარტნიორების საზიანოდაც, რომლებისთვისაც შეერთებული შტატები სავაჭრო-ეკონომიკური კონკურენტია.

ასე ხომ არაერთგზის ყოფილა წინათაც. გავიხსენოთ „ეკონომიკური ომი“ სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ ციმბირ-ჩრდილოეთ ევროპის გაზსადენის მშენებლობასთან დაკავშირებით, როცა ვაშინგტონმა სცადა ამ „ომში“ თავისი ნატოელი მოკავშირეები და იაპონია ჩაეთრია. ამერიკის „სანქციებმა“ მარცხი განიცადა. გაზსადენი აშენდა. ხოლო ამერიკის შეერთებული შტატების ფირმებმა საბჭოთა კავშირთან ეკონომიკური თანამშრომლობის გაწყვეტის გამო დაკარგეს მილიარდ დოლარზე მეტი, რომ აღარაფერი ვთქვათ ბათილად ცნობილ გარიგებათა გამო დაკარგულ მილიარდებზე. იაპონიის ფირმებმა, რომლებიც ვაშინგტონს აპყენენ, ნაზარალეს კიდევ უფრო მეტი — 4 მილიარდი დოლარი.

ამერიკის შეერთებული შტატების ბევრმა დასავლეთევროპელმა მოკავშირემ დროზე გამოიცნო ამ ცბიერი პოლიტიკის მიზნები, რომლებიც ეწინააღმდეგება მათს ინტერესებს. ისინი ხომ შეერთებულ შტატებზე გაცილებით უფრო მეტად არიან დაკავშირებულნი სსრ კავშირისა და ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სხვა ქვეყნების ბაზრათან.

სოციალისტურ ქვეყნებთან ვაჭრობის შეკვეცას მოჰყვა ვაშინგტონის სხვა ღონისძიებებიც, რომელთა მიზანია მოკავშირეთა ეკონომიკური პოზიციების დასუსტება, ეს არის ამერიკის დისკონტის განაკვეთის ხელოვნური გადიდება, ამერიკის შეერთებულ შტატებში დასავლეთის სხვა ქვეყნებიდან მთელ რიგ სახეობათა საქონლის შეტანის კვოტები და ა. შ. შეერთებული შტატების ადმინისტრაციას ეწადა ამ გზით გამოეკეთებინა თავისი საქმეები ეკონომიკაში, რომელსაც გამალებული შეიარაღების შედეგად ერთგვარი დისტროფია მოსდის. ამ მიზანს რეიგანმა ვერ მიაღწია. სამაგიეროდ მან შეძლო ზარალი მიეყენებინა პარტნიორთა ეკონომიკისათვის, რომელთა ვალუტების კურსი დოლარის მიმართ რამდენჯერმე იქნა დევალვირებული, ხოლო მათი კაპიტალი ოკეანის გაღმა აღმოჩნდა.

ახლა, აჩაღებს რა ანტიბაბეჭოურ ფსიქოზს, თეთრი სახლის თავკაცი ცდილობს მოკავშირეები ჩააბას ახალ „სანქციებში“, ამჯერად, „აეროფლოტის“ წინააღმდეგ მიმართულ სანქციებში. ვაშინგტონი აქაც ანგარებითს მიზნებს ისახავს. გავიხსენოთ, რომ ამერიკის ავიაბატონსპორტო კომპანიები, რომლებმაც ადმინისტრაციის მითითებით უკვე კარგა ხანია შეწყვიტეს ფრენა საბჭოთა კავშირში, ამის შედეგად ეკონომიკურ

ანუ თეთრი სახლის მორიგი შეტევა დასავლელი კონკურენტების წინააღმდეგ

კავშირისა და ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სხვა ქვეყნების ბაზრათან.

სოციალისტურ ქვეყნებთან ვაჭრობის შეკვეცას მოჰყვა ვაშინგტონის სხვა ღონისძიებებიც, რომელთა მიზანია მოკავშირეთა ეკონომიკური პოზიციების დასუსტება, ეს არის ამერიკის დისკონტის განაკვეთის ხელოვნური გადიდება, ამერიკის შეერთებულ შტატებში დასავლეთის სხვა ქვეყნებიდან მთელ რიგ სახეობათა საქონლის შეტანის კვოტები და ა. შ. შეერთებული შტატების ადმინისტრაციას ეწადა ამ გზით გამოეკეთებინა თავისი საქმეები ეკონომიკაში, რომელსაც გამალებული შეიარაღების შედეგად ერთგვარი დისტროფია მოსდის. ამ მიზანს რეიგანმა ვერ მიაღწია. სამაგიეროდ მან შეძლო ზარალი მიეყენებინა პარტნიორთა ეკონომიკისათვის, რომელთა ვალუტების კურსი დოლარის მიმართ რამდენჯერმე იქნა დევალვირებული, ხოლო მათი კაპიტალი ოკეანის გაღმა აღმოჩნდა.

ახლა, აჩაღებს რა ანტიბაბეჭოურ ფსიქოზს, თეთრი სახლის თავკაცი ცდილობს მოკავშირეები ჩააბას ახალ „სანქციებში“, ამჯერად, „აეროფლოტის“ წინააღმდეგ მიმართულ სანქციებში. ვაშინგტონი აქაც ანგარებითს მიზნებს ისახავს. გავიხსენოთ, რომ ამერიკის ავიაბატონსპორტო კომპანიები, რომლებმაც ადმინისტრაციის მითითებით უკვე კარგა ხანია შეწყვიტეს ფრენა საბჭოთა კავშირში, ამის შედეგად ეკონომიკურ ზარალს განიცდიან. ჰოდა, განსაკუთრებული ამერიკის დედაქალაქში, ვითომდა დასავლეთ ევროპის კომპანიები რა „წმინდელი კოკშები“ არიან, თუ ჩვენ ვზარალობთ, იმათ რატომ არ უნდა იზარალონო?

ანტიბაბეჭოურობის ჟინით შეპყრობილი მთელი

ხალხთა ძმობის კინოპოპოპა

უხეში ჩექმა აწვება მოხუც სოვდაგარს: „აკი სომეხი ვარ და გურჯების საქმე ფეხებზე მკიდიაო?“ — დასჩხავის გათოკილ მოვსესს მომძალადე. „ქართველთა ბედი სომეხთა ბედია, შენ ამას ვერ გიგებ, ურჯულოვ!“ ეს სცენა ფილმიდან „წიგნი ფიცისა“ უაღრესად შემზარავია და დამაჯერებელი. ფილმის ავტორების უტყუარმა ინტუიციამ შექმნა ტიპური მხატვრული სახე, გმირის ბედი ზუსტად აღადგენს იმ ათასობით სომეხი მოღვაწის ტრაგიკულ ცხოვრებას, სამშობლოს აღორძინების უკეთილშობილესი მიზანი საქართველოს გადარჩენის რიგ დაუკავშირეს. რა შესანიშნავად გადმოიცემა ისტორიული სიმართლე მხატვრული კონცეფციის ფორმით!

XI საუკუნიდან კავკასიის თავისუფლების სადავე ხელში აიღო საქართველომ. დიდი დავითისა და სულმნათი თამარის „ყოველი საქართველო“ საერთო-კავკასიურ იმპერიას წარმოადგენდა. მისი ლაღი ფრთების ქვეშ ყველა არაქართული პროვინციებიც. ქართველთა სამეფოს დამხობამ შავი დღე გაუთენა კავკასიას. მოისრა სომხეთი, გაპარტახდა შირვანი. მონღოლ-თათრებმა ჩრდილოეთის ველები დაიკავეს. კავკასიონის მთაგრეხილის კალთებზე ახალი ტალღების შემოღწევამ მტრობა-მეტოქეობის თესლი ახარა. დაიწყო მთისა და ბარის ურთიერთშეიდილი, რომელიც ეთნიკურ-რელიგიურ დაპირისპირებად იქცა. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, დაღესტნელთა თარეში საქართველოში ქართული ეკონომიკის დეგრადაციითაც აიხსნება.

ძნელბედობამ დაარღვია ადრინდელი ურთიერთობანი. საქართველო ვეღარ ასაქმებდა მთის ჭირბ მოსახლეობას. მეტისმეტად „დავიწროვდა“ მთის ხეობები. ამას დაერთო ფეოდალების ერიანობა და დაეშვა მშიერი გულხდრების ბრბო ალაზნის ვეღებისაკენ. ეს იყო ძველ ეკონომიკურ ურთიერთობათა გაუკუღმართებული იმიტაცია. თითქოს ამ მტრობას ანტაგონისტური ბუნება ჰქონდა; მოეძებებოდა კლასობრივი, ეთნიკურ-ენობრივი, რელიგიურ-იდეოლოგიური საფუძვლები. ინსპირირებულიც იყო ხელოვნურად, ფინანსდებოდა სტამბოლისა და ისპაჰანისაგანაც. და მაინც არ გამქრალა ერთიანობის შეგნება.

გადმოცემით, ჯერ მტრულ შამხალში, მოგვიანებით კი აგრესიულ ავარიაში, თუ მმართველი საგვარეულო ამოწყდებოდა, რომელიმე წარჩინებული ქართველთაგანი უნდა აერჩიათ და დინასტია განეახლებინათ. ასეთი ტრადიცია აშკარად მიუთითებს: სასტიკი ურთიერთშეჯახების დროსაც კი არასოდეს არ განელებულა დაღესტანში ქართველებთან ერთობის იდეა. ერეკლე II-ის დაუძინებელი მტერი ომარ ხანი ქართველ მეფეს მამას ეძახდა. კათალიკოსი ანტონ I ყველა მაჰმადიან კავკასიელს ქართველად მიიჩნევდა, ამ საუკუნის დასაწყისშიც კავკასიის მთიანეთის ნაციონალიზმის ლიდერები საქართველოს „კავკასიის მზეს“ უწოდებდნენ.

ამიტომაც ადვილად გასაგებია ფილმში ჩერქეზი ყურშუტის ესოდენი ერთგულება კახთ ბატონებისადმი. ამიტომაც სევდით ვიესებით დაუდობელი მუსა ბეგის შინაგანი ტრაგიზმის გამო. მუსა ბეგი თუში ქალის სიყვარულით არის დამარცხებული. ეს სიუჟეტიც ხალხური ფოლკლორიდან აღებული მხატვრული სახეა. ისტორიული ქრონიკები კი გვამცნობს: მართალია, დაღესტნის მიუვალ აულებში ჩამჯდარი ფეოდალები ძალზე ხშირად წამოეგებოდნენ ხოლმე თურქეთისა და ირანის ანკესზე, მაგრამ ასევე ხშირად ქართველებთან მხარდამხარ ებრძოდნენ საერთო მტერს. გავიხსენოთ: 1614-20 წლების კახეთის ტრაგედია ქართველებთან ერთად გაიზიარეს ჩერქეზებმა, ყაბარდოელებმა, შირვანელებმა, ოსებმა, ჩეჩენ-ინგუშებმა. 1659 წლის ბახტრიონის ომანდაყების დროს დაღესტნელთა თანხმობამ ხელები გაუხსნა თუშ-ფშავ-ხევსურთა მოქმედებას ბარში. დიდოელები კი პირადად მონაწილეობდნენ თურქმანთა ყლეტაში.

ისევ მოვსესის სახეს გვინდა დავუბრუნდეთ. 1375 წელს უკანასკნელი სომხური სახელმწიფოც — კილიკიის სამეფოც აღიგავა პირისაგან მიწისა. წარმოიშვა ეგრეთ წოდებული „ფრანგული“ ორიენტაცია. გაჩნდა მითი „წმინდა ნერსეს ხლვის“ შესახებ. ბერ ნერსესს დაესიზმრა, რომ სომხეთს თურქთა მძლავრობისგან დასავლეთის ჯვაროსნები გამოიხსნიდნენ. ამაო ოცნება გამოდგა ეს ხილვა. ევროპას ირანი მოკავშირედ მიაჩნდა, თურქეთი — პარტნიორად. პოეტის სიტყვებით რომ ვთქვათ, ქართველებიც და სომხებიც ევროპელ მონარქების „ფეხებზე ეკიდათ“. ამიტომ სულ მალე სომხეთში აღმოცენდა რუსული ორიენტაცია. სომეხთა გამოხსნის გზა გაცილებით უფრო რთული იყო. მათ სახელმწიფოებრიობა აღარ გააჩნდათ. გადაშენდა სომხური არისტოკრატიაც. გაღრმავდა სომეხთა განფენტება. სად არ შეხვდებოდით სომეხ ვაჭარს. მათ კოლონიები ჰქონდათ ჰოლანდიიდან ინდონეზიამდე, ჩინეთში, ამერიკისა და აფრიკის სიღრმეებშიც კი შეაღწიეს. და მაშინაც არ გაწყვეტილა ისტორიულად ამ უმძიმესი ხვედრის ხალხში აღდგომის იმედი. მათ იმედის თვალი მიაპყრეს საქართველოს. **ქართულ-სომხური სახელმწიფო ქართველი მეფით სათავეში რუსეთის მფარველობის ქვეშ** — ასეთი პროგრამა დაისახა. ამ პროგრამისათვის იბრძოდნენ გრიგორი ლუსიკიანი, ისაიელ ორი, დავით ბეგი, ესაია ჰასან ჯალალიანი, იოსებ ემინი, შაამირიანები და ა. შ. „ქართველთა ბედი სომეხთა ბედია“, ამბობს მოვსესი და ამ უკეთილშობილეს სახეში ვხედავთ განმათავისუფლებელი მოძრაობის წამებულ რაინდებს, დაუძლურებულ, თუმცა უუტეხი ნებისყოფის პატრიოტებს, პატივისცემით ვიმსჭვალებით მისი მშობელი ხალხის მოწამებრივი ისტორიისადმი. ეს სიტყვები თავისებური ზნეობრივი ანდერძია წარსულის სიღრმიდან თანამედროვეთათვის ჭკუის სასწავლებლად მოწოდებული.

ფილმი „წიგნი ფიცისა“ საუკუნე-ნახევრის ძნელბედობას გადმოგვცემს. ურთულესია ესოდენ ხანგრძლივი ეპოქის ეკრანიზება. შეიძლება ბევრი რამ სხვაგვარად ასახულიყო, თავვარია ერთი რამ: კინომოთხრობას აქვს ისტორიული დამაჯერებლობა. ქართველთა სწრაფვა რუსეთისაკენ რომანტიკული თვითმფრინავი კი არ იყო, არამედ ძიების გზაზე გაკეთებული აუცილებელი არჩევანი. კარგად არის ახსნილი, რომ ეს არჩევანი მისაღები იყო მთელი კავკასიისათვის. განმარტებულია, რომ მოყვრობა რუსეთთან, საბოლოო შედეგად, მეფეთა კავშირიდან გადაიზარდა ხალხთა ძმობად. მხატვრული ხერხებით მინიშნებულია, რომ იმთავითვე იკვეთობდა ორი რუსეთი: რუსი ხალხის ჯანსაღი, პროგრესული ნაწილი ტახტების დონეზე გაფორმებულ ხელშეკრულებებს ძმობის ჭეშმარიტ მანიფესტებად აქცევდა.

ამ მხრივ შთამბეჭდავია უბრალო რუსი ჭაბუკის გავრილას თავგანწირვა, ტოტლებენის საექსპედიციო კორპუსის რუსი ოფიცრების პოზიცია. მაყურებელი გრძნობს, რომ ქართველთა მოკავშირე იყო არა რომანოვების ტახტზე შემთხვევით შესკუპებული გერმანელი სოფიო ცერბსტი — ეკატერინე II, ან ავანტიურისტი, ასევე გერმანელი გენერალი ტოტლებენი, არამედ ნამდვილი რუსეთი, თვითმპყრობელობის უღელქვეშ მოქცეული ჭეშმარიტად გოლიათი ხალხი, რომელიც სულ მალე დაამხობდა საკუთარ დესპოტიზმს და თავის მძლავრ მხრებქვეშ შეფარებულ თანამომძღეებს სოციალურ და ეროვნულ თავისუფლებასაც მოუტანდა. ეს არის რეალური ისტორიული სიმართლე, რაც ფილმს გასდევს ლაიტმოტივად. ეს არის ფილმის ავტორთა წარმატება. ერთი რამ კი უდავოდ ხვდება ყურს: ქრისტიანული ჯვრის დიდების პარალელურად, ერთობ ჭარბად ისმის ისლამის გმობა.

ქართველებს თავისებური წმინდა სამება სწამდათ: სახარება (იდეოლოგია), მამული (ტერიტორია) და „ქართველობა“, ესე იგი კულტურული თვისებრიობა. ამ წმინდა სამებამ შექმნა „ყოველი საქართველო“. იყო რა ქართული კულტურული „მეობის“ საფუძველი, იგი არ უპირისპირდებოდა სხვა რელიგიურ მიმდინარეობებს.

ქართველობა ბუნებით ჰუმანიზმის წყალობით ადვილად ეგუებოდა ჩვენს პოლიტიკურ სხეულზე ეთნიკურ სამბოიზებს და ტოლერანტული, ესე იგი რჯულშემწყნარებლობითი სულისკვეთებით ზრდიდა მოსახლეობას. როდესაც ირღვეოდა ეს ტრადიციული პოლიტიკა, ვიღებდით არასასურველ შედეგებს: შორისძიების აღორძინებას და გამიჯვნებს თვითიზოლაციის მარტივი ფორმებიდან გაფთრებულ შეტევამდე. ჩვენ გვიჩვენება, რომ ამ ფილმში ეს პროცესი, მით უმეტეს, მოვლენების დისტანციიდან შეფასებისას, უფრო სწორად უნდა გამოკვეთილიყო. ეს კარგად ჩანს მხოლოდ ქეთევან დედოფლის დიალოგებში, სადაც ქრისტე სამშობლოსთან არის გაიგივებული, უნდა განვასხვაოთ თურქეთ-ირანის დარტყმები და ადგილობრივი მაჰმადიანობა. გავიხსენოთ, XI-XI საუკუნეებში საქართველო ქართველობისათვის ებრძოდა ქრისტიანულ ბიზანტიასაც. გარდა ამისა საპირისპირო ფაქტიც არის ცნობილი: კრწანისის ომში ოთხი ათასი ქართველის გვერდით რამდენიმე ასეული ბორჩალოელიც დაიღუპა გმირულად. ისინი დაიღუპნენ, როგორც ქართული სახელმწიფოს პატრიოტი მოქალაქეები. რუსეთისაკენ სწრაფვისას იდეოლოგიურ მხარეს უმნიშვნელოვანესი როლი ჰქონდა, მაგრამ არა ერთადერთი. ასეთ შენიშვნას ნუ ჩაგვვითვლიან ფილმის ავტორები მკაცრ კრიტიკად. უბრალოდ, ამ რთული კინოეპოპეის ხილვის შემდეგ. სრულყოფილების სურვილი გაგვიჩნდა, მით უმეტეს, შევეხეთ მხოლოდ ერთ მხარეს — ხალხთა ძმობის იდეების ილუსტრირებას იმ საუკუნეებში, როდესაც შედარებით ნაკლებად ჩანდა მწარმოებელი მასების ფსიქოლოგია.

„წიგნი ფიცისა“ ემოციური ფილმია. ძნელია ცრემლის, გულისტკივილის, ერთდროულად სიამაყის და აღტაცების გარეშე უყურო სამშობლოს ძნელებდი საუკუნეების გმირულ ბატალიებს, რომელშიც თავდადებით მონაწილეობენ საქართველოში მცხოვრები სხვა ერთა შვილები. ძნელია, არ დაუჭერო ეროვნული გადარჩენის რთულ გზასაყარზე ჩაფიქრებულ მეფე რაინდს — ერეკლე II-ს, რომელმაც, მაღალი მორალური დისციპლინით შეიარაღებულმა, უმწეოკვლო ზნეობის პოზიციებიდან გადაჭრა ბედი ქართველისა.

ეს ფილმი ისტორიის ფართოდ გადაშლილი ფურცელია, ყველასათვის აუცილებლად წასაკითხი. იგი კარგად უნდა წაიკითხოს ყველამ, განსაკუთრებით — ახალგაზრდობამ. „ისტორია ხომ ცხოვრების მასწავლებელია“.

ლ. ტუხაშვილი,

ივ. ჯავახიშვილის სახელმობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

✦ ✦

სურათზე: ფილმის კადრი მეფე ალექსანდრე მეორე — თენგიზ არჩვაძე, ჩერქეზი ყურშიდი — ლევან ფილფანი.

საზოგადოებრივი რისხვა-მკვლელს

მკითხველმა იცის, რომ გაზეთ „კომუნისტის“ 16 აპრილის ნომერში დაიბეჭდა წერილი „ხულიგნური პარპაში უნდა აღიკვეთოს“. მასში მხილებული იყო სატუმრო „უშბასთან“ მდებარე ბენზინგასაწყობ სადგურში თუ როგორ დაჭრა სასიკვდილოდ ხულიგანმა ჯუანშერ შურღაიამ რიგში მდგომი ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ვაჟა დომენტის ძე ალადაშვილი. მომხდარი ფაქტის გარშემო საგანგებოდ იმსჯელა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, მოიწონა ჩვენი გაზეთის გამოსვლა და შესაბამისი დადგენილება მიიღო. მთელი საზოგადოებრიობა აღაშფოთა ხულიგნის მოქმედებამ. რედაქციაში ამ ბოროტი ხულიგნობის თაობაზე ბევრი წერილი გამოგზავნეს მშრომელებმა, წარმოება-დაწესებულებებმა. ამასთან დაკავშირებით ვბეჭდავთ შემოსული წერილების მიმოხილვას.

ამიერკავკასიის რკინიგზის № 2 საავადმყოფოს თანამშრომლები კოლექტიურ წერილში რედაქციას წერენ:

წაიკითხეთ თქვენს გაზეთში გამოქვეყნებული წერილი „ხულიგნური პარპაში უნდა აღიკვეთოს“. ძალიან ძნელია პატიოსანი ადამიანისათვის იმის გაფიქრებაც კი, რომ შენ გვერდით ცოცხლობს ხულიგანი და შენი სიცოცხლე ყოველ წამს საფრთხეშია.

ბოროტი ხულიგნის აღვირახსნილობა ხომ უმიზეზოდ არ ხდება. წერილში მოყვანილი ყველა „გულჩვილობა“ და „სიბრალული“, რომელიც ერთ დროს გამოიჩინეს სასამართლო და საგამოძიებო ორგანოებმა, ეს ხომ უანგაროდ და ვიღაცის ლამაზი თვალებისათვის არ ხდებოდა. აქ ნათლად ჩანს ყოვლისშემძლე მამა და „კანონის დამცველების“ ხელშეწყობა. სწორედ ასეთმა „კეთილისმსურველებმა“ მიიყვანეს ეს ხულიგანი მკვლელობამდე. თუ კანონს თავისი ძალა არ დაუკარგავს, უწინარესად, ყოვლისშემძლე მამა და ის კეთილი ძიები უნდა დაისაჯონ, რომლებიც საზოგადოებას ასეთ არამზადებს უზრდიან. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა დაისაჯოს, რა თქმა უნდა, სიკვდილით, არაკაცი ჯ. შურღაია.

მკვლელობა ხომ უმძიმესი დანაშაულია, მაგრამ მკვლელობაც არის და მკვლელობაც. რაოდენ ზნედაცემული უნდა იყოს კაცი, რომ თითქმის სრულიად უმიზეზოდ გაიმეტოს და სიცოცხლეს გამოასალმოს ადამიანი — ინტელიგენტი, ექიმი, საზოგადოებისათვის საჭირო კაცი.

საზოგადოება მოუთმენლად ელის ბოლოთქმას, სამართლიანსა და დროულს. დადგა დრო, როცა ყველა რანგის მამამ პასუხი აგოს შვილის საქციელისთვის. შვილის საქმე ყოველთვის უნდა იყოს განხილული მამასთან ერთად, ერთ მთლიანობაში.

დიდი გულისტკივილით წავიკითხე გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული წერილი „ხულიგნური პარპაში უნდა აღიკვეთოს“, — გვწერს პარტიისა და შრომის ვეტერანი, დიდი სამამულო ომის ინვალიდი სოხუმელი ვლადიმერ კობახიძე, — რა გულსატკენია, როცა ამ ამბის გაცნობით იგებ, თუ რა საზიზღარი ბოროტება ხდება დღისით-მზისით, ხალხმრავალ ადგილას. თბილისს დაკლდა ვაჟა ალადაშვილი — ახალგაზრდა კაცი, რომელსაც შეეძლო ბევრი სასიკეთო საქმე გაეკეთებინა. ამ დღეებში ჩემი შვილი იმყოფებოდა იმავე საავადმყოფოში, სადაც ვაჟა ალადაშვილი უკანასკნელ დღეებს ითვლიდა ვერაგი და მხეცი ჯ. შურღაიას ხელით დაჭრილი. ვ. ალადაშვილის კოლეგებმა მას ძალზე რთული ოპერაცია გაუკეთეს, გამოჯანმრთელეს და ბინ გამოუშვეს. ვაჟა ალადაშვილმა კი თავისი სიცოცხლე, რომელიც ბოროტმა ხელმა მოუსწრაფა, იმავე საავადმყოფოში თავისი კოლეგების ხელში დალია.

ვის უნდა დაედოს ბრალი ჯ. შურღაიის არაადამიანურ მოქმედებაში—სვამს კითხვას ღვაწლმოსილი ვეტერანი და თვითონვე სცემს პასუხს: პირველ რიგში ოჯახს, რომელშიც აღიზარდა. ხუთუ მშობლებმა ვერ შეძლეს მასზე ზემოქმედება მოეხდინათ, რომ მათი შვილი საზოგადოებისათვის ღირსეული კაცი დამდგარიყო, შთაეგონებინათ შვილისათვის, რომ აუცილებელია შრომა და სწავლა, თავმოყვარეობა, ხალხისადმი პატივი და სიყვარული, უფროსებისადმი თავაზიანობა. ბევრი ფაქტორად მიმაჩნია ის, რომ ოცდათხუთმეტი წლის კაცი, რომელსაც თავის ცხოვრებაში არ უმუშავია, ვინ იცის რით არსებობდა, არა გარემოებაში უხდებოდა ცხოვრება, ან სად ატარებდა დროს? განა შურღაიასმაგვარი ტიპები არ იყვნენ ხაჩატუროვი და ანდღულაძე, რომლებმაც სიცოცხლეს გამოასალმეს მილიციის მუშაკები? არსებობენ ორგანოები, რომლებიც მოწოდებული არიან სისტემატური ყურადღების გარემოცვაში იყოლიონ ისეთი ტიპები, რომლებიც საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას გაურბიან, და ჩაბანან ისინი საერთო შრომის ფერხულში.

შურღაიას თავგასულობას იმანაც შეუწყო ხელი, რომ საგამოძიებო და მართლმსაჯულების ორგანოების ზოგიერთი მუშაკი ლმობიერებას, უპირველიპობას იჩენდა შურღაიას მიმართ. ვათ უნდა მოვთხოვოთ პასუხი, რატომ მიიყვანეს უქნარა და ბოროტი შურღაია იმ დამამძიმებელ მოქმედებამდე, რომ რამდენჯერმე ნასამართლევმა გარეწარმა, დარწმუნებულმა, რომ ამჯერადაც იოლად გადარჩებოდა, ჩაიდინა ასეთი დანაშაული. მინდა რწმენა მქონდეს ყოველივე ზემოთქმულიდან, რომ ჩვენს სოციალისტურ საზოგადოებაში არ უნდა ხდებოდეს ასეთი საზიზღრობა და ვისაც ევალებათ ასეთი არაჯანსაღი პროცესების წინააღმდეგ ბრძოლა, ხელი მოჰკიდოს ამ კეთილშობილურ საქმეს და დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადოს საზოგადოებისათვის მავნე, მტრულ ელემენტებს.

კოლექტიურ წერილში, რომელიც გამოგვიგზავნეს საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების თბილისის სასწავლო-საწარმოო წამოწყება „პოპორმის“ მშრომელებმა, ნათქვამია:

გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ სტატიაში „ხულიგნური პარპაში უნდა აღიკვეთოს“ ნაამბობმა აღბავმა დიდი აღფოთება გამოიწვია ჩვენს კოლექტივში. მართლმსაჯულება ასე ლმობიერად რატომ ეპყრობოდა შურღაიას? ფიზიკური შეურაცხყოფისათვის 100 მანეთი ჯარიმის გადახდა სასჯელი არ არის. ჩვენი კოლექტივი მოითხოვს კანონის მთელი სიმკაცრით მოეთხოვოს პასუხი სასამართლო და საგამოძიებ ბ ორგანოებს, რომლებმაც ჯ. შურღაიას დათვური სამსახური გაუწიეს და კაცის მოკვლამდე მიიყვანეს და საბჭოთა კანონმდებლობა აბუჩად აიგდეს, ხოლო რაც შეეხება თვით ჯ. შურღაიას მისი საქმის გამოძიება დროის დაკარგად მიგვაჩნია...

ჩემი აზრით, ეს საშინელი დანაშაული შემთხვევითი არ არის, — გვწერს თბილისელი ქ. ურუშაძე — იგი მოსამართლეების და შრომა-გასწორების კოლონიის ხელმძღვანელების დანაშაულებრივმა მოქმედებებმა გამოიწვია. ეს ადამიანები ლმობიერად მოექცნენ დამნაშავეს, რასაც შედეგად მოჰყვა სწორედ ასეთი დანაშაული. აი, რატომ არ შეიძლება ამ მკვლელობას შემთხვევითი ეწოდოს. რატომ არ სრულდება კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები? რატომ არღვევს კანონს ზოგიერთი კანონის დამცველი მუშაკი? რატომ უგულებელყოფენ ისინი კონსტიტუციურ პრინციპებს?

ლ. ასათიანის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკური სამავშვო ბიბლიოთეკის თანაშრომლები გამოგზავნილ წერილში წერენ: განა შეიძლება ასეთმა ხოროცმტმა, როგორიც ჯ. შურღაია არის, იაროს ჩვენს გვერდით... არა, არავითარი პატიება, არავითარი მსუბუქი სასჯელი! მოვითხოვოთ მკაცრად, დახვრეტით დაისაჯოს ვ. ალადაშვილის მკვლელი. მოეთხოვოს ჩვენს მართლმსაჯულებას მთელი სერიოზულობით, მთელი სიმკაცრით მოეკიდოს ამ საშინელი მკვლელობის ფაქტს.

რედაქციაში გამოგზავნილ წერილებში სოციალისტური შრომის გმირი, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი ი. მელქაძე, შრომისა და დიდი სამამულო ომის ვეტერანები, პერსონალური პენსიონერები ა. კაკაურიძე, ვ. წულაბარაძე და მრავალნი სხვანი აღფოთებულნი მოითხოვენ ჯ. შურღაიას მთელი სიმკაცრით დასჯას და გვწერენ, თუ რა ზომები მივიღოთ და როგორ ვებრძოლოთ ნაძირალებსა და ცხოვრების მუწუკებს.

გაზეთ „კომუნისტის“ 16 აპრილის ნომერში დაბეჭდილი წერილი „ხულიგნური პარპაში უნდა აღიკვეთოს“ ცხელ კვალზე არის დაწერილი და მაშინ შეუძლებელი იყო ყველა იმ დამნაშავის ჩამოთვლა და დასახელება, რომელმაც ხელი შეუწყვეს ჯ. შურღაიას დამნაშავეთა ჩამოყალიბებას და პარაზიტულ ცხოვრებას. მართალია, პირველი მაისის შინაგან საქმეთა განყოფილების პირველი ქვეგანყოფილების მუშაკებმა იმავე საღამოს დააკავეს ჯ. შურღაია და ბ. მიქუტაძეი, მაგრამ მოხდა უპრეცედენტო შემთხვევა — ხუთჯერ ნასამართლევმა, ექვმიტანილმა ჯ. შურღაიამ ისარგებლა უბნის ინსპექტორის, მილიციის სერჟანტ ტ. მარგველანის დოყლაპაობითა და გაიპარა მილიციის ქვეგანყოფილების უფროსის კაბინეტიდან. თითქმის ორი თვე დასჭირდათ ოპერატიული მუშაკებს იმისათვის, რომ ჯ. შურღაია კვლავ დაეპატიმრებინათ.

ჯ. შურღაია იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი, არ სწავლობდა, ორჯერ გარიცხეს, მაგრამ ორივეჯერ რატომღაც აღადგინეს. უნივერსიტეტი ბაინც ვერ დაამთავრა.

ამ ოცდათხუთმეტი წლის კაცმა რვა სამუშაო ადგილი გამოიცვალა, მაგრამ, რომ იტყვიან, თვალის ასახვევად ჰყავდათ გაფორმებული. იყო ტექნიკური მდივანი, წერგნების დამტარებელი, იურისკონსულტი, რესტორნის საქონელმცოდნე, ავტოსადგურების გაერთიანებების მოლარე, ხოლო უკანასკნელად—თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოს სარემონტო-სამშენებლო კანტორის თანამშრომლად ითვლებოდა ფორმალურად. არსად არ უმუშავია, ისე კი მუშაობის ცნობა ჯიბეში ყოველთვის ედო.

ჯ. შურღაიას მიმართ ხუთი გაჩნენია: ხულიგნობისათვის, ხალხის დაჭრისათვის, ავტოავარიისათვის, ძარცვისათვის, (თუმცა ეს უკანასკნელი საგამოძიებო ორგანოებმა თაღლითობის მუხლით დააკვალიფიცირეს). დადგინდა, რომ ჯ. შურღაიას მიმართ აღძრული ყველა სისხლის სამართლის საქმის გამოძიებას და სასამართლო განხილვას ადმინისტრაციული ორგანოები უხარისხოდ, ზეიერად აწარმოებდნენ, უშვებდნენ სოციალისტური კანონიერების უხეშ დარღვევებს, არბილებდნენ ბრალდებას, განზრახ ამახინჯებდნენ ფაქტებს, სასამართლოებს გამოჰქონდათ ლმობიერი განაჩენები. პროკურატურის ზოგიერთი ორგანო კი ხმას არ იღებდა და ამით ხელს აფარებდა ბოროტ სამართალდამრღვევს.

მიზეზი ჯ. შურღაიას დაუსჯელობისა ადვილი მისახვედრია და მისაგნებია. ბამა მისი ნოგორ შურღაია, განათლებით იურისტია. იგი ოცდაათ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში მუშაობდა შინაგან საქმეთა ორგანოებში, იყო თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს საგამოძიებო განყოფილების უფროსის მოადგილე. იგი სარგებლობდა სამსახურებრივი მდგომარეობით და ახერხებდა შვილის დაცვას. ჯ. შურღაიას ხუთმა ნასამართლობამ მშობლების ზრუნვით თითქმის უყვალოდ ჩაიარა, მას. გაჭირვება არასდროს გამოუცდია, არც სინდისის ქეჯნა აწუხებდა. ნოგორი შურღაიას მეორე შვილი დავითი ძმაზე უკეთესი როდია. იგი გაასამართლეს ბოროტი ხულიგნობისათვის, მაგრამ ყოვლისშემძლე მამამ მასაც არ მოაკლო დახმარება და მასაც ლმობიერი სასჯელი აკმარეს. წლეულს მაისში მილიციის მუშაკებმა ქუჩაში დააკავეს დავით შურღაია და მას დანა აღმოუჩინეს. იგი სისხლის სამართლის პასუხისგებაშია მიცემული ცივი იარაღის ტარებისათვის.

ჯუანშერ და დავით შურღაიების აღმზრდელი მშობლების მიმართ ზედგაოჭრილია: „ცემა გმართებს გამზრდელისა, რა ყმა ნახო ავად ზრდილი“...

შურღაიებისა და მათი მფარველების საქმიანობა ეკისწყალეს და გამოამზეურეს სათანადო ორგანოებმა. ამ რამდენიმე ხნის წინათ საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ბიუროს განიხილა სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისა და სასამართლო გარჩევის დროს სოციალისტური კანონიერების. უხეშ დარღვევათა საკითხი. პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ბიურომ, გამოხატა რა საზოგადოებრიობის ნება, მკაცრად დასაჯა ყველა, ვინც თავის მოქმედებით ან უმოქმედობით ხელი შეუწყო ამ უძმიმესი დანაშაულის ჩადენას.

ინიშათვის, რომ ლიბერალური განაჩენი გამოუტანა ძმებს ჯუანშერ და დავით შურღაიებს, თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო მოსამართლეს, ს. ... წევრს ნ. ქადაგიშვილს სასტიკი საყვედური გამოუცხადა საიერიცხვო ბარათში შეტანით. აღძრულია საკითხი სახალხო მოსამართლეობიდან მისი გამოხმობის შესახებ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ყოფილ წევრს, ამჟამად გლდანის რაიონის პროკურორს გ. წიკლაურს აგრეთვე გამოეცხადა სასტიკი საყვედური საიერიცხვო ბარათში შეტანით. სასტიკი საყვედური გამოუცხადეს კიროვის რაიონის ყოფილ და აწყამად ლენინის რაიონის პროკურორს გ. კავსაძეს.

თბილისის საქალაქო კომიტეტის ბიურომ დაავალა პარტიის შესაბამის რაიკომებს, უწყებებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელებსა და პარტიულ კომიტეტებს განიხილონ იმ პირთა პარტიული და სამსახურებრივი პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებმაც დაუშვეს სოციალისტური კანონიერებისა და სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევები.

ოცდათხუთმეტ კაცის მიმართ განხორციელებულია პარტიული და დისციპლინური ეკაცრი სასჯელები.

პარტიის კიროვის რაიკომის ბიურომ დამნაშავეთა მამა ნ. შურღაია გარიცხა პარტიის რიგებიდან.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოს, სარემონტო-სამშენებლო კანტორის უფროსი ზ. მამალაძე განთავისუფლებულია. სოციალისტური კანონიერების დარღვევისათვის თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს გამომძიებელი დ. ხუნჯუა, პირველი მაისის შინაგან საქმეთა რაიონის პირველი ქვეგანყოფილების უფროსი ნ. გურგენიძე და მისი მოადგილე გ. გვათუა განთავისუფლებული არიან. შინაგან საქმეთა ორგანოებიდან, დაითხოვეს ამავე ქვეგანყოფილების უბნის ინსპექტორი ტ. მარგველანი.

პარტიის ორჯონიკიძის რაიკომის ბიურომ სასტიკი საყვედური გამოუცხადა საიერიცხვო ბარათში შეტანით ორჯონიკიძის რაიონის პროკურორის ყოფილ მოადგილეს, ამჟამად ამავე რაიონის იურიდიული კონსულტაციის გამგეს შ. ფრუიძეს, პირველი მაისის რაიონის ყოფილ სახალხო მოსამართლეს, ამჟამად რესპუბლიკის საავტომობილო გზების სამინისტროს იურიდიული განყოფილების გამგეს თ. ინასარიძეს, ორჯონიკიძის რაიონის პროკურორის თანაშემწეს შ. მერაბიშვილს. რესპუბლიკის პროკურორის წინაშე დაისვა თანამდებობაზე ამ უკანასკნელის ყოფნის მიზანშეწონილობის საკითხი.

პარტიის კალინინის რაიკომის ბიუროს გამოუცხადა სასტიკი საყვედური საიერიცხვო ბარათში შეტანით კიროვის რაიონის ყოფილ სახალხო მოსამართლეს, ამჟამად რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს იურიდიული განყოფილების გამგეს ნ. მგალობლიშვილს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს აპარატის პარტიულმა კომიტეტმა სასტიკი საყვედური გამოუცხადა საიერიცხვო ბარათში შეტანით საქართველოს უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის ყოფილ მოადგილეს, ამჟამად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს იურიდიული განყოფილების გამგეს დ. ლორიას ძმები შურღაიების ბრალდების გამო გამოტანილი განაჩენის დაუსაბუთებელი გაპროტესტებისათვის.

საზოგადოებრივი აზრი ჯანსაღი და უტყუარია. იგი დაუნდობელია ყველას მიმართ, ვინც ვერ შეგვნებს საყოველთაო ჭეშმარიტებას — დამნაშავის ფეხქვეშ მიწა უნდა იწვოდეს.

ბოლოს და ბოლოს სასამართლო თავის სიტყვას იტყვის და დამნაშავესაც შესაფერისად მიუზღავს, მაგრამ სასჯელით ხომ ვერ ანაზღაურდება საზოგადოებისათვის მიყენებული დანაკლისი, ადამიანის სიცოცხლე?! ამიტომ არის საჭირო ფხიზლად ვიყოთ, რათა საქმე აქამდე არ მივიდეს.

ბ. ბახტურიძე.

,,საქართველოს სოფლის მეურნეობა“ № 8

გამოვიდა საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის ყოველთვიური სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის „საქართველოს სოფლის მეურნეობის“ მორიგი, მერვე ნომერი.

რედაქტორის მოადგილე
გ. ნაბუღეანი

გისმოგთ კოოპერაციული ბაზრობები

ცეკავშირის სისტემის სამრეწველო ორგანიზაციები მომხმარებელს თავაზობენ ფართო ასორტიმენტის მზა ტანსაცმელს, ფეხსაცმელს, ქსოვილებს, საგალანტერეო, საპარფიუმერიო, სპორტულ, კულტურულ -საყოფაცხოვრებო და სხვა სახის როგორც სამამულო ისე იმპორტული წარმოების საქონელს.

ბაზრობებზე გასასყიდად არის გამოტანილი აგრეთვე დიდი რაოდენობის ფასდაკლებული საქონელი, რომელიც 1 სექტემბრიდან ჩამოფასდა.

ბაზრობები იმართება ყოველ შაბათ-კვირას დილიდან, მცხეთის რაიონში — სოფელ მუხრანის გადასახვევთან, ბაზაკეცილის მახლობლად, წყალტუბოს რაიონში — სოფელ ქვიტირში, ოფაზაზეთში — სოფელ კელასურში, აჯარაში — სოფელ მახინჯაურში.

**კეთილი ყოფილიყოს თქვენი მობრძანება კოოპერაციულ ბაზრობებზე, ძ